სკოლის სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაციის პროცესის თეორიული და პრაქტიკული ანალიზი საქართველოსა და საფრანგეთის კონტექსტში

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ლილით ბადიშიან

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

სარჩევი

ანოტაცია..... 3

Annotation..... 5

შესავალი 7

თავი I. სკოლის სოციალური მუშაობის თეორიული საფუძვლები და პროფესიონალიზაციის კონცეპტუალური ჩარჩო.....12

1.1. სკოლის სოციალური მუშაობის არსი და მისი ფორმირების ისტორიული წინაპირობები 12

1.2. სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაციის თეორიები და მოდელები.....16

1.3. სკოლის სოციალური მუშაობის ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩო.....18

თავი II. კვლევის მეთოდოლოგია 22

თავი III. სკოლის სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაციის პრაქტიკული გამოცდილება საფრანგეთის მაგალითზე.....30

3.1. საფრანგეთის განათლების სისტემაში სოციალური მუშაობის ინსტიტუციური მოდელი 30

3.2. პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის სისტემა საფრანგეთში.....32

3.3. გამოწვევები და ინოვაციური მიდგომები საფრანგეთის პრაქტიკაში.....34

თავი IV. სკოლის სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაციის პროცესის ანალიზი საქართველოს კონტექსტში.....36

4.1. სკოლის სოციალური მუშაობის განვითარების ეტაპები საქართველოში 36

4.2. პროფესიონალიზაციის გამოწვევები და არსებული ბარიერები საქართველოში.....38

V თავი: დასკვნა და რეკომენდაციები 62

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....68

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება სკოლის სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაციის პროცესის თეორიულ და პრაქტიკულ ანალიზს საქართველოსა და საფრანგეთის კონტექსტში. კვლევის მიზანია გამოიკვეთოს ის ძირითადი სტრუქტურული, ინსტიტუციური და პროფესიული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს სკოლის სოციალური მუშაობის ჩამოყალიბებას, ფუნქციონირებასა და განვითარების დინამიკას თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემებში. ნაშრომი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ სკოლა წარმოადგენს არა მხოლოდ განათლების, არამედ სოციალური ინტეგრაციის, პრევენციისა და ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან სივრცეს, სადაც სოციალური მუშაკის როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

კვლევაში გამოყენებულია პროფესიონალიზაციის კლასიკური და თანამედროვე თეორიული მიდგომები, მათ შორის პროფესიონალიზაციის სოციოლოგიური თეორიები, პროფესიული ავტონომიის კონცეფცია და რეფლექსიური პრაქტიკის მოდელი. აღნიშნული თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა სკოლის სოციალური მუშაობა გაანალიზდეს როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული პროფესიული საქმიანობა, რომელიც ერთდროულად ექვემდებარება სახელმწიფო პოლიტიკის, სამართლებრივი რეგულაციისა და ინსტიტუციური გარემოს გავლენას. საქართველოსა და საფრანგეთის შედარებითი ანალიზი განხორციელებულია სოციალური ინსტიტუციონალიზმის მიდგომის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროფესიის განვითარების ეროვნული სპეციფიკის გამოვლენას.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი არის სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებში გაანალიზებულია ქართული და საერთაშორისო აკადემიური ლიტერატურა, სახელმწიფო დოკუმენტები, პროფესიული სტანდარტები და კვლევითი ნაშრომები. გამოყენებულია დესკრიპციული და შედარებითი ანალიზის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის პროფესიონალიზაციის პროცესის განსხვავებებისა და მსგავსებების სისტემატიზაციას საქართველოსა და საფრანგეთის მაგალითზე.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საფრანგეთში სკოლის სოციალური მუშაობა ჩამოყალიბებულია როგორც მტკიცედ ინსტიტუციონალიზებული პროფესიული

სისტემა, მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოებით, პროფესიული განათლების სტრუქტურირებული მოდელითა და უწყვეტი პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმებით. საქართველოში კი სკოლის სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაციის პროცესი ნაკლებად ფრაგმენტულია.

ნაშრომის დასკვნებში გამოკვეთილია სკოლის სოციალური მუშაობის პროფესიონალიზაციის გაძლიერების აუცილებლობა საქართველოში და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ეხება იმას, რომ კვლევა ქმნის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს სკოლის სოციალური მუშაობის განვითარებისათვის და ხელს უწყობს მის დაახლოებას ევროპულ პროფესიულ სტანდარტებთან.

საკვანძო სიტყვები: სკოლის სოციალური მუშაობა; პროფესიონალიზაცია; განათლების სისტემა; საქართველო; საფრანგეთი

Annotation

The presented master's thesis is dedicated to the theoretical and practical analysis of the process of professionalization of school social work in the context of Georgia and France. The aim of the research is to identify the main structural, institutional, and professional factors that determine the formation, functioning, and development dynamics of school social work in modern educational systems. The work is based on the idea that the school represents not only an important space for education, but also a significant space for social integration, prevention, and ensuring the well-being of children, where the role of the social worker acquires special importance.

The study uses classical and modern theoretical approaches to professionalization, including sociological theories of professionalization, the concept of professional autonomy, and the model of reflective practice. This theoretical framework allows school social work to be analyzed as a value-based professional activity that is simultaneously subject to the influence of state policy, legal regulation, and the institutional environment. The comparative analysis of Georgia and France is carried out on the basis of the social institutionalism approach, which ensures the identification of national specificities in the development of the profession.

The methodological basis of the study is a desk study, within the framework of which Georgian and international academic literature, state documents, professional standards, and research papers are analyzed. Descriptive and comparative analysis methods are used, which makes it possible to systematize the differences and similarities of the professionalization process using the examples of Georgia and France.

The results of the study demonstrate that in France, school social work is established as a strongly institutionalized professional system, with a clear legal framework, a structured model of professional education, and mechanisms of continuous professional support. In Georgia, however, the process of professionalization of school social work is less institutionalized and remains fragmented.

The conclusions of the paper highlight the necessity of strengthening the professionalization of school social work in Georgia and present recommendations, emphasizing that the research

creates a theoretical and practical basis for the development of school social work and contributes to its approximation to European professional standards.

Keywords: School social work; Professionalization; Education system; Georgia; France